

# პარლამენტი

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკვიჩის ქ. № 3 მკორე სართულში. თვეური ხელის მომწერეთვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

„სოციალისტი თვის თავს აცხადებს რევოლუციონარის სიბოლოად ვათავისუფლების არჩნად, სიღრა მის კანასუვისუფლებას — თავის მიხნად“.

კ. მარკსი. კლასთა ბრძოლა საფრანგეთში.

## საბარკო საგათა პითარკა

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთაშორისო მდგომარეობაში ახალი ხანა დაიწყო. ანტანტის გამაოხარებელი გავლენა ისპობა და მასთან ერთათ სიდადი ეცლება პატარა დიპლომატიის შახმატურ კომბინაციებს. წინ დგება სალი, ყოველ სწრაფთ გარკვეული ურთიერთობის აუცილებლობა ამ რესპუბლიკათა დამოკიდებულებაში, რაიცა, უეჭველია, მით უფოა ადრე პოვებს (ხოვრებაში თავის განსახიერებას, რაც უფრო შეგნებულათ სოკიდება საქმეს აქაური მშრომელი მასა.

ეგეს გარეშე, ხალ ძალთა და ურთიერთობათა ცხოვრების ასპარეზზე შემოკრა ბევრს არაფრათ ებიტნება. არ მოსწონს ეს პირველ ყოვლისა საქართველოს მესვეურთ, რომლებიც ჩვეული იყვნენ გეგმონის როლს ამიერ-კავკასიის საქმეებში, როდესაც თავისი სურვილისამებრ ათასისუბედურ ორ დანარჩენ რესპუბლიკას. მათთვის მოებრუნებლათ წავიდა ის დრო, როდესაც მათი მოკავშირე აზერბეიჯანის ბეგებს მთავრობა მორჩილათ ასრულებდა მათ კარნახს საგარეო საქმეთა ყოველ კრიზისის დროს. მათი ცდა გამოიყენინ სახეთ-აზერბეიჯანის გამწვანებელი დამოკიდებულება, დამყარონ სომხეთს და ამა-შეკმან ერთგვარი კავშირი, რომელიც დროებით მანც აღადგენს საქართველოს ძველი გეგმონის როლს ამიერ-კავკასიის საქმეებში, თავის მიზანს ვერ აღწევს და სომხეთი იძულებული იაროს სულ სხვა გზით, ვიდრე ამას ურჩევენ მას საქართველოს მესვეურები.

სომხეთს უკვე წარკვეთა ძველი ბატონების იმედი და იგი იძულებულია სახელმძღვანელოთ მიიღოს ის აზრი, რომ საქორა აზერბეიჯანათ ერთხელ და სამუდამით მორიგება და ის მებობლათ მშველობიანი ცხოვრების წარმოება. ამ შხრით უკვე გადადგმულია ნაბიჯი აზერბეიჯანის საჭკოთა მთავრობის მხრით და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სომხეთიც ვერ გაექცევა სამართლიან მოთხოვნებებს და გვერდს ვერ აუხეებს მომწიფებელი კიხვის სამართლიანათ ვადგურას.

ზავი სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის ისეთი დადებითი მოკლენა ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში, რომ არც კი შეიძლება დღეს ის სათანადო იქნას შეფასებული. მხოლოთ საქართველოს მესვეურნი ვერ არიან კაი გკენბაზე ამ ხავის მოლოდინში და სული და გულით ეტრფიან, რომ ის შეუძლებელია გახდეს. ამ მიზნით ისინი თავსაკენ იპატიებენ სომხეთს და სთავაზობენ სომხეთ-საქართველოს კავშირს „აზერბეიჯან-ქემალისტების“ წინააღმდეგ.

მართალია, ჰელი უადგები, რომელთაც ახლო წარსულში ადგოლა ქონდათ საქართველოს და სომხეთს შუა, დღესაც მწვავეთ საგრძობია მეტადრე სომხეთისათვის. მაგრამ საქართველოს მესვეური მანც იმედოვნებენ ეს კავშირი

შეკრან და სომხეთთან კეთილი მეზობლობა იქონიონ.

ვინ უშლით მერე? ან აქამდე სად იყვნენ, რომ არ მოაწესრიგეს ბორჩალოს და სხვა საკითხები?

საქმე იმაშია, რომ დღესაც სიტყვის შასალათ ხმარობენ ამ გამწვანებულ საკითხების მოწესრიგებას, ნამდვილათ მათ გადაწყვეტა ორივე ამ სახელმწიფოს მესვეურთა ძალღონეს აღმატება. სომხეთს თავის უდავი კუთვნილებათ მიანია სადავიო ადგილები, ხოლო საქართველო მას ოსმალეთის სომხეთისკენ უთითებს და ურჩევს იქ აინაზღაუროს აქაური ზარალი. რადა-თქმა უნდა, რომ სომხეთს ამ პირობით დამეგობრება საქართველოსთან არაფრათ ექაშნიკება.

საქართველოს მესვეური მანც ცდილობენ და ცდილობდენ იმ მოსაზრებით, რომ მათი მოკავშირე და მეგობარი სომხეთი უეჭველათ აზერბეიჯანის მტერი იქნება. იბადება საკითხი—რატომ ასე ცხოვლათ არიან დანტერესებული საქართველოს მესვეური სომხეთ აზერბეიჯანის გადაკიდებაში?

საქმე იმაშია, რომ სომხეთ-აზერბეიჯანის მორიგება ნიშნავს საბოლოოთ იმ საბჭოთა რუსეთის გამარჯვებას, რომელთანაც მჭიდრო კავშირშია აზერბეიჯანი. და ეს გარემოებაა, რომ ძილს უჭარავს საქართველოს მესვეურთ, ეს არ აძლევს მათ მოსვენებას. საბჭოთა რუსეთის სიძულელი იმ ზომამდე ანერვიანებს მათ, რომ ისინი ყველაფერს უხადებენ ჯერ კიდევ იმდენად უბედულ დაშნაკეცენებს და ყოველ საკეთეს პირდებიან, ოღონდ მათ გული მოიბრუნონ.

იმედი ვიქონიოთ, რომ სომხეთ-აზერბეიჯანის მტკიცე ზავი ადრე თუ გვიან ფაქტი გახდება და ის შეიქნება დასაწყისი მთელი ამიერ-კავკასიის მშვიდობიანი ცხოვრებისა.

## იხავ მოსთის ტრავალიზა.

მაშ ასე, საქართველოს მმართველი სოც.-დემოკრატია თავის ყრილობაზე ირწმუნება, რომ ოსეთში მხოლოდ დარჯების ჩაყენება აქვს გადაწყვეტილი, ქართველ კაზაკობის შექმნას თეკობრძე, მარა ისე კი, რომ არ შევიწროვდენ ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრებნი, რომლებიც უამისოთაც ექსცესების მხვერბული შეიქნენ; არ შეგავიწროვებთ, რადგან ოსეთში ბლომათა თავისუფალი მიწა-ადგილები, იქ მხოლოდ ქეშმარტ ქართველებს ჩავასახლებთ.

მაგრამ ჩუმით, მალულათ პარტიულ და სამინისტრო დეპარტამენტებში კი ჩვენებურ მენშევიკებს გამოუმუშავებით გოჯონეთური გეგმა მთელი ხალხის აყრის და შორს გადარეკის. და „ულრერესად დემოკრატიულ“ ქვეყანაში, სადაც მენშევიკების ტრაბახით სხვა და სხვა თავისუფლებანი დღეს და ვადმოდის, ამ გეგმის შესახებ თითქმის არავის გავერნა გარდა მენშევიკთა ბანაკისა, თითქოს ისინი თავის სამკვიდრო დედულ-მამულში რაღაც უმნიშვნელო საბეურნიე ზომას ახორციელებენ, თითქოს თავისი უდავი ქონებრივი უფლებით სარგებლობენ. არც ჩვეულებრივად მათი ბანის მამცემი და შავი საქმის გამთერებელი პროფ. კიეშირთა ცენდრი, და არც დამცუქნ. კრება არ გაურეგიათ — ჯერჯერობით მანც — ამ საქმეში. შემთხვევით ფარდის კუთხე ავხადა ამ განზრახულ საქმეს მუშა-ოსების დღლეკლის მეროვერ მთავრობისადმი მიმართულ განცხადებაში, რომლის შემოკლებული შინაარსი ერთმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა გამოაქვეყნა, და ისიც ქრონი-

კაში, თითქოს საქმე შეეხებოდეს ცხვრის ფარის გადარეკის და არა მთელი ხალხის თავზე განზრახულ მების დატებას.

პირში წყალ დაგუბებულია მთელი „პრესა“, რომელსაც სჩვევია სიჩუმე. უდიდეს სისადაღის წინ. ბაიბურიც არ ისმოდა მით უმეტეს მენშევიკების გაზეთებში. და მხოლოთ ჰქენი გაზეთის ახმაურებამ ენა ამოაღებინა „ერთობას“, ამოაღებინა ჩვენს სალანძღავათ, წვრილფეხა ჯაშუშურად ჩვენს შესახებებლად. მაგრამ იმ ცინიზმის მურგვეში, რომელიც ცოფმორეულმა წვრილ ბურჟუა კალმოსანმა ჩვენს წინააღმდეგ გამოავარა, ზოგი რამ ფაქტიური ცნობებიც არის, რაიც ამქლავნებს ოსეთის „კეთილის მყოფელთა“ განზრახვებს.

ჩვენ ვტყობილობთ, რომ „საქ, დემოკრატია თვითონ (თავიდან?) იცილებს მესამეჯერ მის წინააღმდეგ აჯანყებულ ოსებს“... მარა „ერთობის“ კალმოსანი არ სჯერდება „საქ, დემოკრატის ხახელით ოსების გადასახლება, ის ცინიზმის და უნამუსობის მელანში აწებს კალამს და განავრძობს: „მათ ჩვენი რესპუბლიკა იქით გზავნის, საითაც ისინი მიისწრაფოდენ, რუსეთის სოციალისტურ სამოიხისაკენ“... და შემდეგ იძიობს დემოკრატის უკანასკნელ ძინძებს, შიშვლდება და უტიფრად გაიძახის: „განა შეიძლებოდა სანაპიროებში დატოვება მულამ მშფოთარე ელემენტების“...

სად ხართ სტოლიპინეტი, სად ხართ ალიბანოვეტი და ყველა მეფის ჯალათები, რომ დასტკებთ ასეთი დემოკრატის, ასეთი სოციალისტის სანახაობით? მარა ვინ არიან ეს მშფოთარე ელემენტები? მუშა-ოსების განცხადებაში იხსენიება საერთოთ სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობა, ჩვენს გაზეთშიაც ასე იყო ნახსენები. „ერთობის“ სიკოფანტი კი სიტყვებს გვეყამებს ამის გამო და გვტყობინებს:

„ჩვენ სასტიკათ ვეპყრობით“ მხოლოდ ჯავის ხეობის მცხოვრებთო, მართალია „ომის ხანაში ქონდა ადგილი მოსახლერე ოსებისადმი მტრულ განწყობილებას ხალხში“, მარა „ამას ჩვენ დღეს სასტიკათ ვებრძვით ლე ისევ ნორშალურ ურთიერთობის დასამყარებლად ვზრუნავთ“.

ამ ყოვლად უსიზრცხო განცხადებიდან მხოლოდ ის სჩანს, რომ აყრა და გადასახლება გადაწყვეტილი ქონია არა მთელ ოსის ხალხს, არამედ მხოლოდ ჯავის ხეობის ოსებს, დანარჩენებისთვის კი ჯერ-ჯერობით უქმარებით ის ექსცესები, რომლებს არსებობა დაადასტურათ თვით შინაგან საქმ. მინისტრმა. და რომლებსაც „ერთობა“ მხოლოდ „დღეს“ ებრძვის სასტიკათ. უკმარებით მხოლოდ მიტომ, რომ აქ აჯანყება არ ყოფილა, თორემ ისეთივე ბედს დაატენდენ თავებზე როგორც ჯავლებს.

მთელი ხალხის ბედნი სომე ვერ შეეწირება „ერთი მუშა ნასტრაქინიალებს“, იკითხება კალმოსანი. ალბად მთელი ჯავის ხეობის მრავალი სოფლები სულ მთლად დასახლებულია ნასტრაქინიალებით, რომელნიც აქამდის არ მოხვედრილან საქართველოს ადმინისტრაციის მიხედვით არა-ქართველობის მიხედვით. ნასტრაქინიალი ყოველად ათი-ათასობით ჯავაში მოსახლე ოსები, ქალიც და კაციც, ბავშვიც და მოხუციც, ერიც და ბერიც, ჯანმრთელიც და აუადმყოფიც! ნამუსიც კარგი საქონელია — ხანდახან მაინც ბ-ნო „ერთობებელი“!

კალმოსანი მხოლოდ ერთხელ გადასცდება თავის ხაზს და პირმოთენობა-ფარისელობის სამოსელში ახვევს თავის ცოფიან ენის; წერდის თავშივე ის სწერს: „ჩვენ მეტად მიმი მდგომარეო-

ბათ მიგვანია ამ ოსების მდგომარეობა... მაგრამ ბრალი ამ უბედურებაში ედება იმ ჩრდილოელ მოღვაწეებს, რომლებმაც ეს ხალხი გააბრიყვეს, ააჯანყეს და ასე საფრთხეში ჩაავადეს“.

გამოდის, გაბრიყვეებულებს ჯერ ექსცესების სუსხიანი ეკლეტი აგემებიეს, ახლა კი ძირბულიანათ ავდებენ და ცხვრის ფარასავით ერეკებიან. ბრალი კი ჩრდილოეთის მოღვაწეებს ედება ყოველივე ამ „მიმი მდგომარეობაში“. ასეთია პოლიციური ფილოსოფია „ერთობის“ კლოუნების. ეს თეზისები მათ შუბლს შეეფერება. სდევნეთ ბატონებო თქვენი მტრები — ბედათ თქვენ გარგუნვალ გლეხების და მუშების, და არა მათი მოსიხლე მტრების გაბაწვრა, სდევნეთ აჯანყებულნი, მარა ვინ დაგიჯერებსთ, ვის მოატყუებთ, რომ ჯავის ხეობის მოსახლეობა სულ მთლად აქტიურ აჯანყებულთაგან შესდგება, ვინ დაგიჯერებთ, რომ დემოკრატის დეახალხის ინტერესებისათვის საქორა იყოს ის გაუგონარი ბარბაროსობა, რომლის წინაშე უკან იხევდენ ნიკოლოზის მინისტრებიც კი? ვის არ აავხებს ზიზღით ის სურათი, როცა დემოკრატის სტრაქინები წინ გაირეკავენ ჯავის ხეობის ოსებს? საით? მუშა-ოსების განცხადებაში ნათქვამია — ბორჩალოსა, ყარაიასის და სხ. მხარესკენო, თქვენ კი უცნაური ღრეკით ამბობთ — რუსეთის სოციალისტურ სამოთხისკენო!

სთქვით მთელი სიმაართლე ამ საშინელ საქმის შესახებ? გამოიტანეთ თქვენი პარტიულ და-სხვა დეპარტამენტებიდან მსზე თქვენი გადაწყვეტილება და მის სისრულეში მოსაყვანად განზრახული საშუალებანი; აქ ხომ ციხებში მოშინში-ვე კომუნისტებთან არ გაქვთ საქმე, აქ ხალხის დიდ ნაწილთან გაქვთ საქმე, რომელსაც მართალია ციხეში ამწყვდევენ, მარა ამის მიჩუმება ან და ბრახპირეული გინებით დაქმყოფილება შეიძლება შეეფერებოდეს კალმის ყანალებს, მარა არ შეეფერება „დემოკრატიულ“ და „სოციალისტურს“ მთავრობას.

## დიკნასტურა

დიკნასტურას ჩვენს დროში ყველა აღიარებს, აი მაგალითათ მენშევიკებიც კი ამბობენ: „ჩვენ გვეყამს უმრავლესობის დიკნასტურა, დემოკრატიული ბატონობა“.

მაგრამ ეს როდი კმარა! ისტორიამ დიკნასტურის ბევრი მახინჯი ფორმა იცის და ერთ ასეთ ფორმათაგანს წარმოადგენს მენშევიკების ფორმულა: „უმრავლესობის საშუალებით უმრავლესობის ბატონობის მოპოვება“ (იხ. „ერთობის“ მოწინავე № 189).

უმრავლესობის საშუალებით, უმრავლესობის ბატონობა, ეს პირველყოფილი კომუნიზმის დროის დიკნასტურაა. ეს მაშინ იყო შესაძლებელი, როცა პიროვნება ახლათ ირეკებოდა და საზოგადოება ჯერ კიდევ კლასებათ არ იყო დაყოფილი.

დღეს კი, როცა საზოგადოება თვით მენშევიკების „მოდერნიზაცი“ განსახლერულ, ჩამოყალიბებულ კლასებათ არის დაყოფილი და „ხალხიც ისე ქრელია“, რომ ადვილათ გაარჩევთ მასში, რომელია „ყვეთელი ან შავი“ და რომელია წითელი, უმრავლესობის დიკნასტურაზე „ლაპარაკი, მისი დღევანდელი მახინჯი სახე თუნდაც სულ დავივიწყოთ, ერთი ახირებული თვალთმაქცობაა, მენშევიკების მხრით და მეტი არაფერი! მას შეედეგ, რაც ისტორიამ სახელმწი-

ფი წარმოშვა და საზოგადოება კლასებათ ჩამოყალიბდა, ჩვენ მხოლოთ კლასის დიკნასტურაზე და ბატონობაზე შეგვიძლია სერიოზულათ ლაპარაკი.

დიკნასტურა გულსხმობს მხოლოთ ერთის ბატონობას, მხოლოდ ერთის ნება-სურვილის განხორციელებას, სისრულეში მოყვანას, მარა დღევანდელ ისტორიულ პირობებში ეს ერთი რომელიმე დიდი ისტორიული პიროვნება კი არ არის, ან რომელიმე „ტირანი“, არამედ კლასი, ვინაიდან დღევანდელ გართულებულ საზოგადოებაში ვერავითარ პიროვნებას კლასის გარეშე არავითარი გავლენა არ ექნებოდა.

მებრძოლი, თვალსაჩინო, ერთი-მეორევე სამკვედრო სასიცოცხლოთ წაკიდებული კლასი დღეს მხოლოთ ორი: ბურჟუაზია და პროლეტარიატი, სხვა შეთანხმ წრეები, თუნდ მასები ან პირველს მიჰყვებიან, ან მეორეს მისდევნენ. დიკნასტურა ბურჟუაზიის, თუ პროლეტარიატის? აი როგორ დავს კითხვა. რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიკნასტურა, შემოკვამხებენ უმალ მენშევიკები.

არა, ბატონებო, ეს კიდევ არ კმარა დიკნასტურის განხორციელება, მისი სისრულეში მოყვანა, მხოლოთ შესაფერი ორგანიზების საშუალებით შეიძლება. მაშ ახლა უნდა ვკითხოთ: რა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საშუალებით შეუძლია პროლეტარიატს თავისი დიკნასტურა განახორციელოს?

ცხადია იმ საშუალებით და იმ იარაღით, რომლითაც დღემდე მთელი გავლელი ისტორიის განმავლობაში ბურჟუაზია თავის კლასიურ დიკნასტურას ახნორციელებდა, ე. ი. სახელმწიფოს საშუალებით.

თვით სახელმწიფოს აპარატს კი შმართავს იმ კლასის პოლიტიკური პარტია, რომლის ნება-სურვილები სახელმწიფო უნდა განახორციელოს.

მაშასადამე პროლეტარიატის პარტია თუ სახელმწიფოებრივ ძალა უფლებას ხელში ჩაივადებს, ის ამით ვახდება პროლეტარიატის ნება-სურვილის განახორციელებელი, ე. ი. მისი დიკნასტურის გამტარებელი. აქედან პარტია ხდება დიკნასტორი.

ჩვენ კი ვიცით, რომ პარტია და კლასი ერთი არაა: პარტია კლასის მოწინავე, შეგნებული, ბრძოლაში გამოცდილი გამომბრძნელი ელემენტების მკვიდრო მოწყობილი კავშირია; ის კლასის უმცირესობაა, მარა იმავე დროს იმავე კლასის ნება-სურვილის ისტორიულათ საუკეთესო გამომხატველ-გამტარებელია. აქედან პარტიის დიკნასტურა უმცირესობის დიკნასტურაა. და როცა მენშევიკები ამტკიცებენ, რომ ისინიც პროლეტარიატის პარტია არიან და ვითომ ისინიც მუშათა კლასის მთავრობას წარმოადგენენ, ამით ისინი თავისივე პირით უმცირესობის დიკნასტურას აღიარებენ, ვინაიდან ისინიც ისე, როგორც კომუნისტები პარტიას შეიცავენ და არა კლასს.

როგორც ხედავთ დიკნასტურის როლში გამოდის დღეს არა თვით მასა, როგორც ეს პირველყოფილ კომუნიზმის ეპოქაში იყო, არა რომელიმე დიდი ან ყოველთა ძლიერი პიროვნება, რომელიმე „ტირანი“, როგორც ეს ავტოკრატიულ და ინდივიდუალისტურ ეპოქებში იყო, არამედ კოლექტივი, კლასის უმცირესობის ორგანიზაცია ანუ პოლიტიკური პარტია.

თვითმპყობელობის დიდ რუსეთში ამ სამი ოთხი წლის წინათ ყველაფერი ერთი კაცის, ერთი მონარქის, ნიკოლოს ზის სახელით კეთდებოდა; ხოლო დღე-

საბჭოთა დიდ რუსეთში, პროლეტარიატის დიდი სახელმწიფოში" დიდი პიროვნება ვლადიმერ ილია ძე ლენინი ერთ სიტყვასაც არ წარმოთქვამს, ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს თავისი, ე. ი. კლასის, პროლეტარიატის პარტიის უსაინქტიოთი იმ დროში გადამრთებული პიროვნებიდან გამოდიოდნ თვითო „ძლიერი ამა ქვეყნისა“, ხოლო დღეს კი ხელმძღვანელ-წინამძღოლ კოლექტივიდან, პარტიიდან გამოდიან თვით „გაღმერთებული“ პიროვნებანი, როგორც არის დღეს არა თუ მარტო რუსეთში, არამედ აღმოსავლეთის და დასავლეთის მრავალ ქვეყნებშიაც, ანუ. ლენინი.

აქედან მკითხველი იმასაც ნათლად დინახავს, თუ როგორ სასტიკათ ცდებან ნ. ჟორდანია და ცდებიან მისი ამყოლო-დამყოლი ჩვენი მენშევიკები, როცა ნიკოლოზს ლენინის პიროვნებას უპირდაპირებენ დღევანდელი რუსეთის ისტორიულ-საზოგადოებრივ მოძრაობაში. დღეს ლენინი კი არ არის დიქტატორი (ანუ „ტირანი“. როგორც ისინი უსვავსთ გაპყვირთან) არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის პარტია, კომუნისტური პარტია!

ეს კი, ცხადია, უმცირესობის დიქტატორობაა და არა უმრავლესობის. მაშ თქვენ უმრავლესობის ბატონობას უარყოფთ და უმცირესობას აბატონებთ უმრავლესობაზე?!

შემოგვხებენ კვლავ ნიშნის მოგებით გახარებული მენშევიკები. მოგვითმინეთ ბატონობა და თქვენ ახლავე დაინახავთ, თუ დღემდე არ დაგინახავთ და მხედველობის ნიჭი კიდევ შეგრჩნით, იმას; თუ როგორ ბატონდება უმრავლესობა უმრავლესობის საშუალებით კი არა, არამედ იმ უმცირესობის საშუალებით, რომელიც ჩვენ ზემოთ დავასახელეთ და რომელსაც უთუოდ თქვენც სახელმწიფოს მმართველ პარტიას უწოდებთ.

რ. კ.

(დასასრული შემდეგ №-ში).

### ადგილობრივი პრესა.

ჩვენ დიდი ხანია შეგვიჩვია „ნდენა“-„ერთობა“- ისეთ აზრს, რომ ეს გაზეთებში ნაცვლათ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების წარმოდგენენ პოლიტიურ დაწესებულებებს, რომელთა მიზანია ბალშევიზმთან ბრძოლა ყოველგვარი საშუალებებით—დაწყებული მისი სახელის ფიტებით და გათავიებული კომუნისტების გიზიკური დღევით და განადგურებით. ჩვენც რა დავგრძენია იმის მეტი, რომ ვამბოლოთ და გამოვაშკარავოთ მათი საგმნრო საქმეები, აღვნიშნოთ ზოგიერთი მომენტები მაინც მათი სასახლო მოღვაწეობისა, ან ერთი ნიმუშიც მათი ბალშევიზმის ჰიმოებისა. ზორბა სეფერს.

„ხალხთა ძმობის დროში“ ქვეშ მიმავალი ბალშევიზმი პრაქტიკაზე ყოველთვის იწვევს მათ მტრობას. ბალშევიზმა გამოიყენა მტრობა პოლონეთსა და ლიტვას შუა, მან ობექტიურათ გააძლიერა ანტიემიტინიზმი რუსეთში, ის სახრლომდა და სახრლოობს მთიულკახეთა მტრობის ხარჯზე ჩრდილო კავკასიაში“.

ენას ძალი არ აქვს და ქალაქს სიწითლე. მაგრამ მაინც რამ ათქმევინა „ბორბასაც“ კი, რომ ბალშევიზმა ანტიემიტინიზმი გააძლიერა რუსეთში?! რუსეთი ხომ ცნობილია ებრაელებთან ბაგრომებით (აწიოკებით) და იქალ მდამიო ხალხს ძველი რეჟიმის მეცადინეობით დროით ქონდა ჩანერგილი ებრაელთა სიძულვილი, და სწორეთ საკვირველი და ღირსშესანიშნავი ის არის, რომ ბალშევიზმა შეუძლებელი გახადა ებრაელთა აწიოკება და საბჭოთა რუსეთში. ეს ფაქტი იმდენად აშკარა და თვალსაჩინოა, რომ ბალშევიზმის არც ერთ მოსახლე მტერს, რომელიც მას ათათას ცოდვას ერთათ აღებს კისრათ, არ უკიენებია მისთვის, რომ ანტიემიტინიზმს აძლიერებო. მხოლოთ „ბორბა“ სადის ამას არხებნათ, ის „ბორბა“, რომელიც ხანდახან მაინც ცდილობს უფრო მორთულ-მოკაზმული გამოვიდეს, ვიდრე მისი ტუპი „ერთობა“. რაშია საქმე? დენიკინ-მანზო-გრიგორიევის ცოდვებს ხომ არ აწერს ბალშევიზმს გაზეთი? რალაც ამის მსგავსი უნდა იმალებოდეს იმ ერთ სიტყვაში, რომელიც ბალშევიზმის ცოდვითა შესა მსუბუქებლათ „ბორბას“ გამოუმეტვია. ეს საინტერესო სიტყვა გახლავთ „ობექტიურით“,—ვითომდა ბალშევიზმი მხოლოთ „ობექტიურით“, მისი სურვილის უნებურათ აძლიერებს ანტიემიტინიზმს! სასაცილოა სწორეთ! რისა გრცხენიათ ბატონებო? აი მივეყთ „ერთობისთვის“ ეგ ტერმა და ის წარბუხებულათ, ხახვასმით დასწერდა: ანტიემიტინიზმს ბალშევიზმი აძლიერებს ობექტიურათაც და სუბიექტიურათაც.

და მართლაც მოწინააღმდეგის თრევა-სა და მისი აზრების გაყალბებაში „ერთობაში“ თვით თავის თავს აჯობა. №190-ის მებრესე ასე გვეკამათება:

„ბოლოს გაზეთი (იკოლისხმება ჩვენი გაზეთი) საბუთის მაგიერ ერთ ქორს კიდევ ათავსებს; საქართველო სპეკულიანტებს იფარავდა და იღებდა „მაგრამ იგი ვერ დაიკვებებს, რომ მას შეეფარებინოს თუნდაც ერთი მუშა ან გლეხი საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეული.“

და ამ „ქორს“ უარყოფს „ერთობა“ იმ ფაქტზე მითითებით, რომ რამოდენიმე ათასი წითელ არმიელი, მოწყვეტილი საბჭოთა რუსეთს, უსწორო ბრძოლაში ვერ აკვებდენიკენლათა უამრავი ჯარის მოწოლას და იძულებულია ჩრდილო-კავკასიიდან თბილისში გადმოიხვეწოს.

„ვინ იყვნენ ეს წითელ არმიელები?—კითხულობს გაზეთი და თვითვე უბასუხებს. —განა არც ერთი მუშა და გლეხი არ ერია?!“

ერთი კი არა მეტიც იყო: იქ მუშებისა და გლეხების მეტი სხვა არავინაც არ ერია. მაგრამ საქმე ხომ ამაში არ არის. „ჩვენ კი ვიცით, რომ მრავალი მათგანი აქ სამუშაოზე დადგა, ზოგი ჩვენს სახალხო გვარდიზშიაც შევიდა. მაშ რათ ქორიკიანობთ?“

ჩვენ კი ისიც ვიცით, რომ მრავალი მათგანი შიმშილით და ტიფით ამოწყდა, მაგრამ საქმე ხომ ამაში არ არის? მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია მხოლოთ, რომ „ერთობა“ აყალბებს იმ ორ ლერ სიტყვასაც, რომელიც ჩვენი გაზეთიდან მოყავს: „საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეული“ ბევრი გვინახავს სპეკულიანტი და ხხვა ამგვარი მოღვაწე, მარა არ გვინახავს არცერთი მუშა და გლეხი. აი როგორი იყო ჩვენი აზრი.

„ერთობამ“ ვერც ერთი მუშა, ვერც ერთი გლეხი ვერ დასახელა, რომ საბჭოთა რეიზმს, იქალ დევნას და შევიწროებას გამოქცეულს და პირიქით გვითითებს იმ 6000 წითელ არმიელზე, რომლებიც საბჭოთა რუსეთისათვის იბრძოდნ და თავის სიცოცხლეს იწირავდნ. მართლაც „ერთობის“ უტიფრობა უნდა შესწევდეს კაცს, რომ ასე აშკარათ, ასე საქმეებით სჩადიდდეს მსგავს სიყალბეს და თანაც თავი მოსწონდეს.

### საბჭოთა რუსეთის პრესა

კვლავ რუსეთ საქართველოს ხელშეკრულობის შესახებ

საბჭოთა რესპუბლიკა იწყო საზავო ხელშეკრულობის დადება სხვა და სხვა სახელმწიფოებთან. ამ თავითვე, ამ ხელშეკრულობების ნიადაჯზე აღმოცენებულ საერთაშორისო დამოკიდებულებათა და სსაწყის შივე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ხელშეკრულობებს უსათუოდ ასრულე ბ დეს მორეუ მხარეც.

არ უნდა დაუფუტოთ, რომ ჩვენ მიერ დადებულ ხელშეკრულობებს, რომლებიც დამყარებულია მეზობელ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე, უყურადღებოთ სტაგვდეს ეს უკანასკნელი.

საქართველოს მთავრობა კი ცინიკურათ არღვევს ხელშეკრულებას, რომელსაც ეს-ესაა ხელი მოაწერა.

ხელშეკრულობის ერთ-ერთ მუხლის ძალით საქართველოს მთავრობა ვალდებულია მოახდინოს საქართველოს კომუნისტურ პარტიის ლეგალიზაცია და მოსპოს მისი დევნა.

მდგ კიდევ უფრო მასიურ რებრესიებს, ვინემ ეს ლეგალიზაციამდე იყო.

თბილისის „კომუნისტის“ 1 ნომერში, რომელიც ახლა უკვე დარბულია მენშევიკების მიერ, ვეწნობით მრავალ ფაქტებს საქართველოს პროვინციიდან... (შემდეგ მოყვანილია ის ცნობები კომუნისტების დევნის შესახებ, რომელიც რუსულ „კომუნისტის“ პირველ ნომერში იყო გამოქვეყნებული. მ.გ.რ.).

იგივე ხდება თვით თბილისშიაც, სადაც გარს შემოერტყენ პარტიის ცენტრკომიტეტს, რომლის წევრებს დაკავების შემდეგ ცხრანანთ. გასულიყვენ (საქართველოს საზღვრებიდან?)

ცხეში, მენშევიკურ პრესის ცნობით, მასიურათ დაპატიმრებულ ამხანაგებს გამოუცხადებიათ შიმშილობა, მოითხოვენ მხოლოდ გამოძიების დაჩქარებას და ბრალდების წამოყენებას.

ამ ფაქტებს გაცნობილი ყოველი მუშა შეეიტხება თავს: რას ნიშნავს ეს? მოსკოვში იმყოფება მენშევიკური, საქართველოს საელჩო. რატომ არ უდგენენ მას მოთხოვნას, სულ მოკლე ხანში მოგვეცეს ახსნა-განმარტება მისი მთავრობის მიერ ხელშეკრულობის არშერულების გამო?

კომუნისტური ინტერნაციონალი ეს ყველა ქვეყნის მუშათა კავშირია კაპიტალის ბატონობის დასამზობათ.

### ინტერნაციონალის ბარჯეო.

კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი პეტერბურგში.

ამს ლენინის სიტყვა.

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 25).

ვალების ზრდა.

აილეთ სახელმწიფო ვალეები. ჩვენ ვიცით, არა ნაკლებ შეიღჯერ გაიხარდა უმთავრეს ეკონომიულ სახელმწიფოების ვალეები 1914-დან 1920 წლამდე. მივიყვენ კიდევ ერთ ეკონომიურ წყაროს, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა: ეს არის კეინსი ინგლისელი დიპლომატი, „ზავის ეკონომიური შედეგების“ ავტორი, რომელიც თავისი მთავრობის დავალებით მონაწილეობას იღებდა ევროპის საზავო მოლაპარაკებაში, თვალყურს ადევნებდა მას პირდაპირ წმინდა ბურჟუაზიულ თვალსაზრისით; ნაბიჯს ნაბიჯზე სწავლობდა, დეტალურად იძიებდა საქმეს; რომელიც ეკონომისტურ, მონაწილეობას ღებულობდა თათბირზე. ის მივიდა და სკენებამდე, რომელიც უფრო ძლიერია, უფრო აშკარაა, უფრო ნათელია, ეიდრე რომელიმე დასკვნა კომუნისტის, რევოლუციონერის, ვინაიდან დასკვნებს აკეთებს აშკარა ბურჟუა, შეუპოვარი მწიწინააღმდეგე ბოლშევიზმის, რომელიც წარმოადგენს იქვე მას, როგორც ინგლისელ მეწინისს, მახინჯათ, გაფთვრებულათ, მხეცურათ. კეინსი მივიდა დასკვნამდე, რომ ევროპა და მთელი მსოფლიო ევროპის ზავით გაკოტრებისაკენ მიდის. კეინსი ადვილიდან გადადგა და მან ცხერი პარზი ესროლა მთავრობას თავისი წიგნი და უთხრა: თქვენ ჩადიხართ უჭკობას! იმ მოციყვან იმ ციფრებს, რომლებიც ეხება საერთოდ შემდეგ:

როგორ მოეწყო ვალეების ურთიერთობა უმთავრეს სახელმწიფოებს შორის? მე გადმოვიღებ გირვანქა სტერლინგს ოქროს მანეთებთან და მივიღებ გირვანქა სტერლინგს 10 ოქროს მანეთად. და აი რა გამოდის: შეერთებულ შტატებს აქვს აქტივი 19 მილიარდი, პასივი კი იმის ნახევარი. ისინი იყვენ ოამდი ინგლისის მოვალე. ამხანაგა ლევიმ გერმანიის კომუნისტურ პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე 14 აპრილს 1920 წ. თავის მოხსენებაში სამართლიანათ აღნიშნა, რომ დარჩა მხოლოდ ორი სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებლად გამოდის ახლა მსოფლიოზე: ინგლისი და ამერიკა. მხოლოდ ამერიკა აღმოჩნდა თინანისიური მდგომარეობით საყვებით დამოუკიდებელი, ოამდის ის მოვალე იყო, ახლა კი ის მხოლოდ კრედიტორია. მსოფლიოს ყველა დანარჩენი სახელმწიფოები მისგან დავალიანებული არიან.

ინგლისის ვალი.

ინგლისი დარჩა ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი აქტივი 7 მილიარდია, პასივი—8 მილიარდი, სანახევროთ ის მოვალის მდგომარეობაში ჩავარდა უკვე.

„კომუნისტის“ მე-2 ნომერში აღნიშნულია, რომ იყო შემთხვევები მუშაკომუნისტების ცემის დამფუნს. კრების იმ წევრის დანდასწრებითაც კი, რომელმაც ჩვენთან ერთათ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომელშიაც არის მუხლი კომუნისტების წინააღმდეგ რებრესიების შეჩერების შესახებ.

შეიძლება მოქალაქე ურატაძეს, წევრს მალალი საკრებულოსა, საინტერესოდ მიანდა ცქერა, როცა მუშებს სცემენ მის დემოკრატიულ სამშობლოში?

მაგრამ საბჭოთა რუსეთის მუშები ასეთ შეურაცყოფა-ძალადობაზე მრისხანე აღშფოთებით უბასუხებენ.

ჩვენი ხელშეკრულება—ქალაქის ნაფლეთი როდია, რომ ის შეავინოს და თელოს ყოველმა მოხალისემ.

თუ ქართველ მენშევიკებს სურვილი აქვთ ზავი შეკრან მეორე რუსეთთან ვინანგელის სახით, თუ მათ სძავთ ზავი დიდ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკასთან—დეე სიტყან ეს აშკარათ.

ასეთი შეურაცყოფის დაშვება მეტი შეუძლებელია.

ლ. ხოხოვეკი.  
(გაზ. „პრავდა“, № 174, 8 აგვ.)

ამასთანავე მის აქტივი მოხვდა 6 მილიარდამდის, რომელიც რუსეთზე ითვლება ვალად. ვალად ითვლება რუსეთის მიერ ომის დროს სახმედრო საქიროებისათვის დაკვეთილი. ახლახან, როდესაც კრასინს შემთხვევა მიეცა ლოიდჯორჯთან საუბრის, როგორც რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელს, ვალეების ხელშეკრულების თემაზე, სრულიათ ნათლად გაურკვია მეცინიერებს და პოლიტიკოსებს, ინგლისის მთავრობის ბელადებს, რომ თუ მათ ჰგონიათ მიიღებენ ვალეებსაც, სასტიკ შეცდომაში შედიან. და ამ შეცდომას ფარდა ახადა უკვე ინგლისის დიპლომატმა კეინსმა.

საქმე, რასაკვირველია, არა მარტო იმაშია, და თითქმის არც იმაშია, რომ რუსეთის რევოლუციონურ მთავრობას არ სურს ვალეების გადახდა. რომელი მთავრობაც არ უნდა ავფულო, არ შეეძლო გადახდა, ვინაიდან ეს ვალეები არის საფასო დამატება იმაზე, რაც უკვე 20 წელიწადია გადახდილია და სწორედ ეს ბურჟუა კეინსი, რომელიც ოტრის ოდნადაც არ თანაუგრძობს რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობას, ამბობს: „ცხადია, ამ ვალეებს ასგარისში შეტანა არ შეიძლებოა“.

საფრანგების დავალიანება.

საფრანგეთის შესახებ კეინსს მოჰყავს ასეთი ციფრები: მისი აქტივი უდრის სამ ნახევარ მილიარდს, ხოლო პასივი—ათ ნახევარს და ეს არის ქვეყანა, რომლის შესახებაც უკეთ ფრანგები ამბობენ, რომ ის მთელი მსოფლიოს მეგანშეა, რადგანაც მისი „დაგროვილი“ ოიანც ვებერთელა იყო, კოლონიალურმა და ფინანსურმა ძარცვამ, რომელმაც შესძინა მას უზარმაზარი კაპიტალი, შეძლება მისცა გაცეა სესხათ მილიარდები, და მილიარდები განსაკუთრებით რუსეთისათვის. ამ სესხებიდან ლებულობდა ის დიქდალ შემოსავალს. და მიუხედავათ ამისა, მიუხედავად გამარჯვებისა, საფრანგეთი ჩავარდა მოვალის მდგომარეობაში.

აუცილებელია ყველა ვალეის ანულიაცია.

ერთი ბურჟუაზიული ამერიკული წყარო, რომელიც მოყავს ამხანაგს ბრაუნს, კომუნისტს, თავის წიგნში: „ვინ უნდა გადაიხადოს სახმედრო ვალეები?“ (ლიპიტვი, 1920 წ.) არკვევს ვალეების ურთიერთობას ეროვნულ ქონებასთან ასეთნაირათ: გამარჯვებულ ქვეყნებში, ინგლისში და საფრანგეთში, ვალეები შეადგენენ მთელ ეროვნულ ქონების 50 პროც. იტალიაში ეს პროცენტები შეადგენს 60—70, რუსეთში—90, მაგრამ ჩვენ, როგორც თქვენ იცით, არ გვაწუხებს ეს ვალეები, ვინაიდან ჩვენ ცოტათი უფრო ადრე, ვინემ გამოვიდეთ კეინსის ეს წიგნაკი, მივსებთ მის მშვენიერ რჩევას—ანულიაცია ვუყავით (გადაუქმეთ) ყველა ვალეები. (მქუხარე ტაში).

კვირველებას: იძლევა რა თავის რჩევას ანულიაცია ვუყოთ ყველა ვალებს, ის ამბობს, რომ, რასაკვირველია, საფრანგეთი მოიგებს მხოლოდ, რასაკვირველია, ინგლისი ბევრს მაინც და მაინც არაფერს დაკარგავს, ვინაიდან სულ ერთია რუსეთთან ვერაფერს ვერ აიღებ, ამ რიგათ დაკარგავს ამერიკა, მაგრამ კეინსი იმედს ამყარებს ამერიკის „კეთილშობილობაზე“! აქ ჩვენ ვერ დავეთანხმებით კეინსის და სხვა მეწიანურ პაციფისტების შეხედულებებს. ჩვენ ფიქრობთ, რომ ვალეების ანულიაციისათვის მათ მოუხდებათ დაუქალი სხვა რამეს და იმოქმედონ სხვა რომელიმე მიმართულებით, ხოლო ბატონ კაპიტალისტების „კეთილშობილების“ იმედი კი არ ურდა იქონიონ.

ფასების შეუფარდებლობა სამუშაო ქირასთან.

ამ შემოკლებით მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ იპერიალისტურმა ომმა შექმნა აგრეთვე გამარჯვებულ ქვეყნებისათვისაც აუტანელი მდგომარეობა. ამის მარჯვენებელია აგრეთვე ფასების ზრდის დიდი შეუფარდებლობა სამუშაო ქირასთან. „შუამღესმა ეკონომიურმა საბჭომ“, რომელიც წარმოადგენს მთელ რუსეთს, რომელიც იცავს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიულ წესიერებას მოახლოვებულ რევოლუციისაგან, მიმდინარე წლის 8 მარტს გამოიტანა რეზოლუციი, რომელიც თავდება მოწოდებით წესიერებისა, შრომის მოყვანობისა, და თადარიგისკენ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ მუშები დარჩებიან კაპიტალის მონებათ. ამ უმალესმა ეკონომიურმა საბჭომ, ანტიანტის ორგანომ, მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების ორგანომ, ასეთი ჯამი გააკეთა:

სურსათის ფასებმა მოიმატა საშვლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში 120% ი, ხოლო სამუშაო ქირა გაიზარდა იქ მხოლოდ 100%. ინგლისში სურსათმა—170%, სამუშაო ქირამ—130%. საფრანგეთში სურსათმა—300%, სამუშაო ქირამ—200%, იაპონიაში სურსათმა—130%, სამუშაო ქირამ—60%.

ცხადია, რომ ასეთ მდგომარეობის დროს მუშებს აღშფოთების ზრდა, რევოლუციონურ განწყობილების და იდეის ზრდა, სტიქიური და მასიური გაფიცვების ზრდა აუცილებელია, ვინაიდან მუშები მდგომარეობა აუტანელი ხდება, მუშები რწმუნდებიან გამოცდილებით, რომ კაპიტალისტებმა უზომოთ მოიგეს და ხარჯებს და ვალებს კი მუშებს აყრიან თავზე. ახლახან ტელეგრაფმა გვაცნობა, რომ ამერიკას სურს ვადმოსახლოს ჩვენში, რუსეთში, კიდევ 500 კომუნისტი, რომ განთავისუფლდეს „მაენე ავტორიტებისაგან“.

ამერიკამ 500 კი არა, არამედ თითქმის 500,000 რუსი, ამერიკელი, იაპონელი, ფრანგი და სხვ. „ავტორიტები“ რომ ვადმოსახლოს ჩვენში, ამით არაფერი არ შეიცვლება, ვინაიდან დარჩება ფასების ეს შეუფარდებლობა, რომელთანაც ისინი ვერაფერს ვერ გააწყობენ. ხოლო ვერაფერს ვერ გააწყობენ იმეტომ, რომ კერძო საკუთრება მათ სასტიკათ აქვდა დაცული, მათთვის ის „სალეთია“, ეს არ უნდა დავივიწყოთ, ვინაიდან მყელეფლების კერძო საკუთრება დამოზილია მხოლოდ რუსეთში. ფასების ამ შეუფარდებლობასთან კაპიტალისტები ვერაფერს ვერ გააწყობენ, ხოლო მუშებს კი ძველ სამუშაო ქირით (ხოვრება არ შეუძლიათ.

ამ უბედურების წინააღმდეგ ვერაფერს ვერ გააწყობენ ვერაგეთარი ძველი მეთოდებით, არავითარი ცალკე გაფიცვები, არც პარლამენტარული ბრძოლა, არც კენჭის ყრა აქ არ გამოდგება, ვინაიდან აქერძო საკუთრება სალეთია“, და კაპიტალისტებმა დაავრთვეს იმდენი ვალეები, რომ მთელი მსოფლიო დამონებული ყავს ერთი მუშა ადამიანების ჯგუფს, ამივე დროს კი მუშათა ცხოვრების პირობები სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება, გამოსავალი არაა მყელეფლების „კერძო საკუთრების“ მოსპობის გარეშე.

ამს. ლალინსკი თავის ბროწიურაში: „ინგლისი და მსოფლიო რევოლუციი“, საიდანაც ჩვენმა „საფარო საქმეთა სახალხო კომისარიატის უწყებამ“ ამოიღო ღირსშესანიშნავი ცნობები და გამოაკვეყნა გვაჩვენებს, რომ ინგლისში ნახშირის გასატანი ფასები აღმოჩნდა ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე ფიქრობდნ ოფიციალური სამრეწველო წრეები.



ხოვდენ მისგან ეთქვა თუ სად იმალე-  
ბოდა მისი შვილი.

ამ ამბების შესახებ სოფლისგან არჩე-  
ულ წარმომადგენლებმა დეკემბრით აცნო-  
ბეს საქართველოს მთავრობის თავმჯდო-  
მარეს, სამხედრო და შინაგან საქმეთა  
მინისტრებს, დაამუშებულ კრების სო-

ციალ-დემ. და ს.-რევოლ. ფრაქციებს. \*)  
\*) ამ დეკემბის ასლი „ახ. კომუნისტი“-  
რედაქციამაც მიიღო. დეკემბრის ხელს  
აწერს ადგილობრივი საზოგადოების მონ-  
ლობილობით: პოპანდოპოლო, ურუმოვი,  
მაგალასოვი და შეფო კიმშკაროვი.  
რედაქცია.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-3 რაიონულ საბჭოს სხდომა.

10 აგვისტოს შესდგა მე-3 რაიონულ  
საბჭოს სხდომა. ასარჩევი იყო ბიურო,  
რაცა სისრულეში მოყვანილ იქნა. არ-  
ჩეულ იქნა 5 ამხანაგისაგან შემდგარი  
ბიურო.

## მე-4 რაიონის მე-14 იაჩეიკ. კრება

10 აგვისტოს მოხდა მე-4 რაიონის  
მე-14 იაჩეიკის წევრთა საერთო კრება.  
სხვა ორგანიზაციულ კითხვებთან ერთად  
გასარჩევი იყო იაჩეიკაში კულტურულ-  
განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება.  
გამომუშავებულ იქნა მუშაობის პროგ-  
რამა, მეტადინეობა იქნება კვირაში ორ-  
ხელ. პირველად შესწავლილ იქნება ახლ.  
ბუხარინის კომუნისტური პარტიის პრო-  
გრამა და სხვა.

## მე-4 და მე-5 იაჩეიკების გაერთი- ანებული კრება

10 აგვისტოს მოხდა № 4 და 5 იაჩე-  
იკების წევრთა გაერთიანებული კრება.  
კრებას დაესწრო თბილისის კომიტეტის  
წარმომადგენელი, რომელმაც გააკეთა  
მოხსენება საბჭოთა რუსეთის საგარეო  
და საშინაო მდგომარეობის შესახებ.  
მოხსენებელმა დაწვრილებით შეეხო იმ  
კითხვას, თუ რამდენად მარქსისტულად  
სწორი არის ბურჟუაზიის საწინააღმდე-  
გო ბრძოლის მეთოდი—პროლეტარია-  
თის დიქტატურა და აგრეთვე შეეხო  
იმას, არის თუ არა საბჭოთა რუსეთში  
ახლა პროლეტარიატის დიქტატურა. შე-  
მდეგ მოხსენებელი შეეხო საბჭოთა  
მთავრობის მდგომარეობას ანტანტა-  
პოლიტიკის დამოკიდებულების საკითხ-  
ში. გაკვირდა მოხსენებელმა ბალშევიკთა  
პოლიტიკა აღმოსავლეთ ქვეყნების საკით-  
ხში. ბალშევიკების აგრესიის გამო  
აღმოსავლეთის ხალხი გამოფხიზლები  
გაზაფხა შემდგარი. იქ უკვე მრავლად  
დაგროვდა ანაფეთქებული მასალა, რომ-  
ლის აფეთქება გამოიწვევს დასავლეთის  
იმპერიალიზმის დახრჩობას და აღმოსავ-  
ლეთის დაჩაგრულ ხალხის განთავისუფ-  
ლებას.

## მე 13 იაჩეიკის კრება

9 აგვისტოს მოხდა მე-13 იაჩეიკის  
წევრთა კრება. სხვა ორგანიზაციულ კით-  
ხვებთან ერთად კრებამ იქონია მსჯე-  
ლობა პარტიულ სკოლის შესახებ და  
დაადგინა: ეთხოვოს რაიონულ საბჭოს  
სოფლის სკოლა ინმაროს პარტიულ  
სკოლის მოსაწყობათ. აგრეთვე ეთხოვოს  
რაიონულ საბჭოს, რათა გამოგზავნოს  
პროპაგანდისტი ლექციების წასაკითხათ,  
თუ ასეთი მთავრობისგან ნებადართულია.  
ამ.

## ლინდავის რაიონი

შესდგა საქარ. კომუნ. პარტიის ბალ-  
შევიანის, კლასაურის და აკაფოს ორ-  
განიზაციების წარმომადგენლებთა კრე-  
ბა, რომელსაც დაესწრო 200-მდე ამხა-  
ნაგი. თავმჯდომარეთა ერთხმად იქნა  
არჩეული პასკიჩევი, მდინაძე სამსონია.  
თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება მი-  
მდინარე მომენტზე ილაპარაკა ნახევარ-  
საათი, რითაც ამხანაგები კმაყოფილი  
დარჩნენ. ამ კრებაზე მოხსენება გააკეთა  
აგრეთვე სოხუმიდან ჩამოსულმა ამხანაგ-

გრიშინმა, რომელმაც ვრცლად შეეხო  
იმას თუ რა პირობებში იმყოფებიან და-  
ტუსადებულნი ამხანაგები, სოხუმის ქვეს  
ტომრებში და რა განსაკუთრებული იმყო-  
ფებიან. მერე, რა გარყვნილი სიტყვე-  
ბით მიმართა გენერალ-გუბერნატორმა  
სულაქველიძემ დატუსადებულ ამხანაგებს  
და თითქმის ერთი ამხანაგის დახვერტაც  
კი მოინდომა, მაგრამ ვერ გაბედა.

ამხანაგ გრიშინის მოხსენებამ დიდი  
შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე, რის  
შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლუცია  
სადაც ნათქვამია ჩვენ მშრომელი გლე-  
ხები ვუძღვნით გულთხად მხურვალე სა-  
ლამს სოციალისტური რევოლუციის ხე-  
ლმძღვანელთა და ბელადების და უსურ-  
ვებთ მათ გამარჯვებას. რეზოლუცია  
ერთხმად იქნა მიღებული. მოგროვდა  
იქნა დაამსწრე ამხანაგებისაგან, დატუ-  
სადებული ამხანაგების სასარგებლოდ  
1700 მანეთი, რომელიც გაეგზავნა სო-  
ხუმის საოლქო კომიტეტს ტუსად ამხანა-  
გებისთვის გადასაცემად. ფული მეორე  
დღესვე იქნა გადაცემული დანიშნულე-  
ბისამებრ.

## სოხუმელი გრიშა.

### დრანდის რაიონი (სოხუმის ოლქ.)

22 ივლისს 4 საათზე სოფ. ბაბუშერ-  
ში მოხდა პარტიული კრება სადაც პარ-  
ტიული წევრების გარდა უპარტიოც  
ქალები და კაცებიც ბლომად დაესწრნენ.  
კრების გახსნამდე 22 კაცმა და ქალმა  
მოისურვა ჩაწერილიყვნენ ჩვენს პარტია-  
ში, რომლებიდანაც სარევიტარაციო ბი-  
უროს ხელმძღვანელმა ზოგიერთები და-  
აკმაყოფილა. თავმჯდომარედ არჩეული  
იქნა ხმის უმრავლესობით ხვანთქარი,  
მდინაძე ერთხმად კოჭია.

დღის წესრიგი იყო: 1) მიმდინარე  
მომენტი, 2) პარტიული მუშაობა; 3) და-  
ტუსადებულ ამხანაგების შესახებ. მიმ-  
დინარე მომენტზე ვრცლად მოხსენება გა-  
აკეთა ამხანაგმა გრიშინმა, რომელიცაც  
ხალხი მეტის მეტად დიდი კმაყოფილი  
დარჩა.

პარტიული მუშაობაზე მოხსენება გა-  
აკეთა დრანდის რაიონის კომიტეტის  
თავმჯდომარემ დ.—ამ, გააცნო ამხანა-  
გებს, დაწვრილებით პარტიულ მუშაო-  
ბისკვლევა. ამხანაგების სიმბიარულეს  
საზღვარი არ ქონდა. პარტიული ამხანა-  
გები დიდი კმაყოფილი დარჩნენ დრა-  
ნდის კომიტეტის წევრების უნარიანი და  
ენერგიული მუშაობით ამის შემდეგ მო-  
ხსენება გააკეთა ამხანაგმა ხვანთქარმა  
დატუსადებული ამხანაგების შესახებ,  
რომლებიც იტანჯებიან მშრომელ ხალ-  
ხის ინტერესებისათვის.

ბოლოს იქნა ასეთი რეზოლუცია გა-  
მოტანილი:  
მადლობას უხვადებთ, დრანდის რაი-  
ონის კომიტეტს ენერგიულ მუშაობისათ-  
ვის და უსურვებთ მათ წინ სვლას და  
ნაყოფიერ მეთი მდგარი მუშაობის გა-  
ჩაღებას, და ამ მუშაობას გამოეძღოს ნა-  
ყოფი მშრომელ გლეხების და მუშების  
სასარგებლოდ. ვაცხადებთ პროტესტს  
ჩვენი დატუსადებულ ამხანაგებზე ასეთი  
მოქცევისათვის და კატეგორიულად მო-  
ვითხოვთ, გაუშვებინებულ იქნეს ტან-  
ჯულ ამხანაგების ქვეს ტომრების ყოფ-  
ნა. საღამოს საათის 7-ზე „ინტერნაცი-  
ონალის“ სიმღერით გლეხები დაიშალენ.  
კრების მონდობილობით კოჭია.

# მუშათა ცხოვრება.

## ჩვენში.

**თბილისის მთავარი სახელმწიფო.**  
მუშათა გაჭირვებულ მდგომარეობაზე  
ბევრს სწერენ სხვა და სხვა ჟურნალ-გა-  
ზეთებში, ბევრ კრებებზეც ახდენენ, ბევრ  
კომისიებსაც ირჩევენ. ყველა ამ აყენე-  
ბულ კორიანტელს რომ ხედავს კაცი, იტ-  
ყვის, რომ რა დიდი ჯაფაშია ყველა ეს  
ხალხი! მაგრამ გაუშვებებს ვერ ვხე-  
დავთ. რაც დრო მიდის, მით უფრო უა-

რეს ხდება მუშების პირობები. ხელფა-  
სი დღითი-დღე ეცემა. სურსათი სანოვა-  
ვის ფასები კი სულ უფრო და უფრო  
მაღლა იწევს. ასეთ პირობებში მყოფი  
მუშები იძულებულნი არიან, თავისი უკა-  
ნასკნელი ოჯახის მოწყობილება გაყი-  
დონ. ყიდის ტანისამოსს, ფეხსაცმელს,  
სკამს, ერთი სიტყვით ყოველივე იმას,  
რაც აუცილებელ საქმირობას წარმოად-  
გენს ადამიანისათვის. და ყიდის იმითმ-

რომ იყიდოს ქაღი, ამით გამოკვეთოს  
თავისი წვირილი ცოლ-შვილი. მაგრამ  
ყოველივეს საზღვარი აქვს, და ესეც ელე-  
ვა; ვარდება სასოწარკვეთილებაში, თან  
გაიძახის: „ამოტელა ხალხი ავირჩიეთ  
გვეგონა, რომ ეს ხალხი გამოგვიყვანდა  
ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, მაგ-  
რამ ჩვენი საქმე უფრო გაუარესდაო“.

საქმე აქ იმაშია, რომ ყველა ეს „არ-  
ჩეულები მენშევიკები არიან, უკანასკნე-  
ლები კი დგანან ბურჟუაზიულ თვალსაზ-  
რისზე და აწენებენ ბურჟუაზიულ წყო-  
ბილებას. ეს წყობილება მოითხოვს მუ-  
შებისაგან დიდ შრომის და ცოტა ხელ-  
ფასის მიღებას. ახა გადავხედოთ ახლა  
ამ ჩვენს დროის ბურჟუა-საქეულებს,  
თუ როგორ გრძობენ ისინი თავს, ისინი  
არ ღვრიან ნიანგის ცრემლებს საარსე-  
ბო ლუკმისათვის, პირიქით, ისინი მუდამ  
ღიზინი, ფუფუნებაში და გაუთავებელ  
ღიზინების ტარებაში არიან. ეს იმ დროს,  
როდესაც შრომის შვილი წელში მოხრი-  
ლი ყიდის თავის უკანასკნელ აუცილებელ  
საჭირო საგანს, რომ იყიდოს მარტო ქაღი  
ღმით გამოკვეთოს ცოლ-შვილი. ეს მდგო-  
მარეობა ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელ-  
დება, თუ ჩვენ, მუშები, ვინ არ მო-  
ვალთ და არ ვეტყვით ამ უკაცრავათ პა-  
სუხია, „სოციალისტებს“, რომ გვეყო  
ამდენი მოტყვილება.

## მუშა მატავილი.

### სასტავარ-გარეჯ სომხეთში.

წარმოდგენელ ეკონომიურ გაჭირვე-  
ბას განიცდის სომხეთის მუშათა კლასი.  
დაშინების მთავრობას არავითარი ნა-  
ბიჯი არ გაუდგამს წინ მუშათა პირო-  
ბების გასაუმჯობესებლად.

არსებობს მუშათა კანონმდებლობა,  
რის გამო სწარმოებს შეზღუდვებულ  
მოშაო ექსპლოატაცია. ერივანში, ყარს-  
ში და ალექსანდროპოლში, მუშა პირ-  
ველი შეხვედრისთანავე შემოგვივლებს  
მის აუტანელ მდგომარეობას. არც ერთ  
ამ ქალაქში არ არსებობენ მუშათა ორ-  
განიზაციები და კავშირები, რომლის  
დაშინებულ მუშებს შეძლება ექნებოდა  
ბრძოლა ეწინააღმდეგება თავისი ექსპლოა-  
ტატორების წინააღმდეგ. ზოგიერთ  
ბიუროკრატიულ დაწესებულებებში არ-  
სებობს ფორმალური კავშირი, რომელ-  
საც არავითარი დამოკიდებულება არა  
აქვს მუშებთან. თუ რომ მუშებმა ეკო-  
ნომიური პირობების გაუმჯობესება  
მოითხოვეს, მათ მთავრობა სამშობლოს  
მოლატეებთაც ხაზს უსვამს. ერთი სიტ-  
ყვით, მუშებს არავითარი საშუალება  
და უფლება არ აქვს მოითხოვოს თავი-  
სი ეკონომიური პირობების გაუმჯობე-  
ლება. მუშები გულგრილად უყურებენ იმ  
ფორმალურ მუშათა კავშირებსაც, რომ-  
ლებიც არსებობენ, რადგან კავშირის  
მიერ პროტესტის გამოცხადებაც კი  
(მუშების ეკონომიურ გაჭირვების გამო)  
სამშობლოს დალატათა გამოცხადებუ-  
ლი და მას მაშინვე პირში ბურთს ჩაა-  
ჩრიან. რვა საათის სამუშაო დღეზე ლა-  
პარაკი შედგმეტია. რა დროს რვა საა-  
თის სამუშაო დღის მოთხოვნა ახლა,  
როდესაც სამშობლო განსაკუთრებით  
აყაყანდებიან სომხეთის სპეკულიანტები  
და ბურჟუები.

რკინის გზელ მუშების მდგომარეობა  
კიდევ უარესია. მათგან მასალის უქონ-  
ლობის გამო, მატარებლები ძლიერ ნე-  
ლა დღითი და ამიტომ „კონდუქტო-  
რებს“ უხდებათ გამოუცვლელად ზედი-  
ზედ რამდენიმე დღე მუშაობა. სურსათი  
მუშებს არ ეძლევა, თუ ოდენიმე მისცენ,  
ისიც თავის დროზე არ მოდის. ამ ნია-  
დაგზე მუშებში სწარმოებს ერთი აურ-  
სართი. ეკონომიური პირობებმა ზოგი  
მუშა „კონდუქტორი“ ცუდ გზაზე დაა-  
ყენა. მათში გავრცელებულია მეჭრთა-  
მეობა. შეიძლება მხოლოდ ნახევარი  
ბილეთის საფასური გადახადო კერძოთ,  
რომ დაუბრკოლებლივ იმოგზავროთ მა-  
ტარებლით საითაც მოგესურვებთ.  
სომხეთის რკინის-გზელ მუშებში არიან  
აგრეთვე იდეური მეშეკები, რევოლუ-  
ციონური სულით გაუფენილინი. მთავ-  
რობა ყოველივე საშუალებებს ხმარობს  
მათ დასაყრდენად. ზოგ მათგანს ით-  
ხოვს სამხსახურიდან, ვითომდა, როგორც  
არა სპეციალისტს და მათ დღეილზე მო-  
ყავს მთავრობისათვის საიმედო პირები.  
არავითარი კანონმდებლობა ფაბრიკა-

ქარხნების მუშებისათვის არ არსებობს.  
იქ ამუშავებენ რამდენიც სურთ მწარმო-  
ებლებს, მუშაობა სწარმოებს საშინელი  
ანტიანტიტარულ პირობებში.

ფორმალური მუშათა კავშირის დაუ-  
კითხავად, მწარმოებელი აწარმოებს მუ-  
შების მიღება დათხოვას. სალიკვიდაციო  
ფულზე, ლაპარაკიც შედგმეტია.

სომხეთის მთელი სახელმწიფოებრივი  
დაწესებულებები ინტელიგენციის ხელ-  
შია. მთავრობა მათთვის განსაკუთრე-  
ბულ პირობებს ქმნის, რომ რაც შეიძ-  
ლება მეტი ინტელიგენტური ძალები  
მიიზიდოს სომხეთში.

ამიტომ ინტელიგენციის ცხოვრება—  
ქეჩაფი და დროს ტარებაა. აშ.

## გაზის მწარმოებლის მუშების გა- ფიცვა ინგლისში.

გაზეთი „დეილი გეროლი“ იტყობი-  
ბინება, თომ გაზის მწარმოების მუშების  
გაფიცვა ქ. ლანკაშირიში დათავდა. თუ  
დაწყებულ მოლაპარაკებათა შედეგები  
ვერ დააკმაყოფილებს მუშებს, ისინი  
ხელახლა დაიწყებენ გაფიცვას.

## მუშები ღელავენ იაპონიაში.

იაპონიის სატახტო კალაქ ტოკიოში  
მუშებს მღელვარება ეტყობათ. ავტომო-  
ბის საწინააღმდეგო პრაკლამაციებს. მი-  
ტინგებზე მუშათა ორგანიზაციები მოი-  
თხოვენ სამუშაო დღის შემოკლებას, უმუ-  
შევრობის წინააღმდეგ ბრძოლას, საყო-  
ველთაო საარჩევნო უფლების შემო-  
ღებას.

მთელ იაპონიაში ძლიერი უმუშევრო-  
ბაა. მუშების დამქირავებელ საავტორის  
გადმოცემით ქ. კობში მუშების მხოლოდ  
ერთი მესამედი პოულობს სამუშაოს,  
აუარებული მუშები მიდიან ქ. კობიდან  
და ასაკიდან პროვინციაში სამუშაოს  
საშოვნელათ.

## გაფიცვები ესტონიაში.

რეველის ნავთსადგურის მუშების გა-  
ფიცვა გრძელდება. მათ შეუერთდნენ სა-  
ხელსონიების და ქარხნების მუშები.

## პროვინსიის ცხოვრება.

### ფოთის უპასუხისმგებლო—პირები.

1920 წ. 17 აგვისტოს სამშობლოს ფო-  
თის ქალაქის სასურსათო მაღაზიაში არ-  
გებდნენ პურის ფქვილს თვითუფლებ ორ  
გირავანქას. დამწულ ხალხს შუალაშიდან  
დაეწყო რიგში. დგომა და შედ საათზე  
ჩამწკრივებული იყო რამდენიმე ასეული.  
ქალაქის გამგებობის წევრმა რომელიც  
იმავე დროს სასურსათო კომისიის წევ-  
რი და თავმჯდომარეა, ბატ. პეტრე ქუ-  
თათელაძემ დაუჩივა ჩეგები და დაამ-  
შვიდა: ყველას გეყოფათ ფქვილი და  
წაბრდნა. ამის შემდეგ გამობრძანდნენ  
მილიციონერები და მოუწოდნენ რიგში  
მდგომ ხალხს წესიერებისკენ. თვითონ  
კი ნამდვილად არღვევდნენ წესიერებას;  
ნაცნობებს და ნათესავებს ურიგით აძ-  
ლევდნენ ოთხის მაგივრად რვა გირავანქას.  
რა თქმა უნდა ამ რიგათ დიდ ნა-  
წილს რიგში მდგომთა ფქვილი სრულიად  
არ შეხვდა, რამაც დიდათ ააშფოთა დამ-  
წული ხალხი. ბევრმა კი, სასოწარკვე-  
თილებაში ჩავარდნილებმა ტირილი მორ-  
თეს და არ შორდებოდნენ სასურსათო  
მაღაზიას; მოითხოვდნენ ფქვილს და აც-  
ხადებდნენ: ჩვენ შევღამიდან პირველი  
რიგში ვიდექით, ჩვენს მერმეთ მოსუ-  
ლებმა რვა-რვა გირავანქა მიიღეს თქვენი  
უპასუხისმგებლო მილიციონერების საშვა-  
ლებით და მანამდის არსად წავალთ, სანამ  
ფქვილს არ მივიღებთო. თერთმეტ საათ-  
ზე მობრძანდა ბ. ქუთათელაძე და ტუ-  
ლუში, გასცნენ ბრძანება: ახლავე დაუჭვი-  
თ და მიეცით ვისაც ფქვილი არ მიუღირო  
და წაბრდნდნენ. მილიციონერები და  
ნოქრები მათი წასვლის თანავე დაერი-  
ხალხს და დაუწყო გარეკა მუშებში და  
წიხლებით. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბ.  
ქუთათელაძის განკარგულება ყოფილა  
გამაზი სიტყვები ხალხის ვულის მოსა-  
ვლათ. მილიციონერების ცემა-ტყეპაზე  
ვერავინ პასუხი ვერ გასცა, რადგანაც  
გვემუჭრებოდნენ, ეხლავე ციხეში გაგზავ-  
ნითო. ჩვენც მეტი არაფერი დავგრჩა  
ზიხლი და პროტესტი გამოგვეთქვა და  
დაველიოყავით, ორმათ დარწმუნებული  
იმაში, რომ ქალაქს ბატონობს არა  
ყავს და განაგებენ უპასუხისმგებლო პი-

რები, როდემდის უნდა ველოდეთ  
ასეთ უმწიფო მდგომარეობაში.

მუშა რიონისპირელი.

## ბ-ნ გოგუას მუშაობა ლინდავის რაიონში.

(სოხუმის ოლქი)

24 ივლისს მოხდა გლეხთა კრება სო-  
ფელ ანატავიაში ი. ი. (ბესლექტაში),  
რომელსაც დაესწრო 350 ქალი და კა-  
ცი. ბ. გოგუა გამოდის და უხსნის ხალხს  
შემდეგს:

„ბატონებო, თქვენ კარგად მოგეხსე-  
ნებათ“, რომ დღეს საქართველო, და  
დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრო-  
ბამ გაიმარჯვა ბალშევიკებთან ბრძოლა-  
ში; სამუდამოდ დამარცხდნენ ბალშევი-  
კები და ესაა, რომ გრძელდება კომუ-  
ნისტების დაქტრა საქართველოში. ბა-  
ტიონებო ჩვენ და ჩვენი მთავრობის არა-  
ფერი საწინააღმდეგო არა აქვს ბოლშე-  
ვიკებთან, მხოლოდ ჩვენ უკანასკნელი  
სისხლის წვეთამდე უნდა ვებრძოლოთ  
კომუნისტებს: აი კომუნისტები რას ჩა-  
დიან: რაც გააჩნია გლეხს საკუთრება  
სულ ყველაფერი ჩამოართმევენ, მაგალი-  
თად ორი წვეელი საცვლები თუ აქვს,  
ერთ წვეელს წარმოევენ, ასე სახლს,  
ძროხას, ხარს, ქათმებს, შვილებს, და  
ქალებზე ხომ ლაპარაკიც შედგმეტია.

„მიუთითა რომ გავრის ახლო კომუ-  
ნისტებს უჭირავს ძალა-უფლება, ისე ბა-  
ტიონი და ვლადიკავაში.“

ბალშევიკები რომ გამოვიდოდნენ სა-  
ქართველოს მთავრობის წინააღმდეგ კი-  
დეე არაფერი გვიმავს, მაგრამ ისაა უბე-  
დურება, რომ კომუნისტებს უნდათ ჩა-  
ივლონ საქართველო ხელში. ასეთი  
პროვოკაციით ხალხი ძელზე უქმყოფი-  
ლი დარჩა, პიროვნებები გარდა 5. ხალხ-  
მა კარგად იცოდა, რომ ეს იყო აშკარა  
პროვოკაცია და მეტი არაფერი; გოგუას  
არც კი დაემთავრებია თავისი სიტყვა,  
ისთე გლეხები დიშალებ.—ხედავს ბ. ნი  
გოგუა, რომ მის წინ მარტო ხუთი გლე-  
ხი დარჩა, რის გამო იძულებული შეიქ-  
ნა, ტრიბუნას მოშორებოდა. არავითარი  
რეზოლუციები იქ იმ კრებაზედ არ იყო  
გამოტანილი. ასეთ საზიზრობას ჩანს  
და პროვოკაციების გავრცელებაშია დღე  
და ღამე ბ. ნი გოგუა და მისი თანაშემ-  
წე ქ მოყვანილი ხუთა გლეხი.

აწი დროა ბატონებმა თავი დაანებონ  
სიკრუეს და პროვოკაციას, უკვე ცნო-  
ბილია გოგუა, თუ რომელი მშრომელი  
გლეხების დამცველია ის.

## სოხუმელი გრიშინი.

1 აგვ. ქ. სოხუმი.

## პოპუნისტების დავნა ბრკალდება.

ბორჩალოს მაზრიდან ჩამოსულ ამხა-  
ნაგმა გააკეთა სამაზრო კომუნისტურ  
კომიტეტში მოხსენება და შემდეგი სიტყვა:

18 აგვისტოს ს.ოფ. ოპრეტში, ბაქო-  
ჩალოს მაზრაში, ჩამოვიდა ამ მაზრის  
რაიონული კომისარი კავშირამე და მი-  
სი თანაშემწე ნიკოლაშვილი. ეძებდნენ  
ოპრეტის კომუნისტების კომიტეტს და-  
სატუსადეგობათ. ეკითხებოდნენ სოფლე-  
ლებს, სპეციალურად გამოიწვიეს და  
დაკითხეს ოპრეტის მღვდელს პოპანდო-  
პოლოს თუ სად იმყოფება ბალშევიკე-  
ბის კომიტეტი. საერთოთ ამ უკანასკ-  
ნელ დროს ცნობები მოდის პროვინცი-  
იდან, რომ იქ შემოღებულია კომუნის-  
ტების საწინააღმდეგო რეპრესიები. X.

## მისალეპანი

ქალაქ სამტრედიის რკინის გზის დე-  
პოს მუშები საღამო ვუძღვნით ჩვენს სი-  
ამაყეს, ღარიბ და მაშვრალთა ინტერე-  
სების დარაჯს და სიმართლის საყვირს  
გაზ. „ახალ კომუნისტს.“ ვუსურვებთ  
მტკიცეთ დაეცოს მუშათა კლა-  
სის ინტერესები მასთან გიგზავნით  
ჩვენს პატარა წვლილს გაზეთის ფონ-  
დის გასაძლიერებლათ ჩვენს შრომის შე-  
გრივლად ას თუმანს. (1000-მან.) გაუმარ-  
ჯოს საერთაშორისო მუშათა სოლიდა-  
რობას.

ა.შ. მონდობილო. ჯ. მართაშვილი.

დრ. რედაქტორი:  
დირიგირი ჯორჯენაძე.